

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ერთ-ერთია მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომებიდან, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოიწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასაჭრელი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. ნაშრომი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

This policy brief is also available in English

ტურიზმის განვითარება საქართველოში

გიორგი რაჯებაშვილი

მეცნიერების მაგისტრი დასვენების, ტურიზმის და გარემოს დაცვის საკითხებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკოლოგიის ინსტიტუტი, ასისტენტ-მკვლევარი

რეზიუმე

ბოლო პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ ტურიზმის განვითარების მიზნით მთიანი რეგიონების და სოფლების ხელშეწყობა დაიწყო, რაც ადგილობრივ მოსახლეობას ტურიზმის საშუალებით საკუთარი საარსებო წყაროს გაუმჯობესებაში დაეხმარება. მიუხედავად ამბიციური გეგმებისა, ტურიზმის განვითარება საქართველოში საკმაოდ ქაოტურად გამოიყურება; სტრატეგიული დაგეგმვის ნაკლებობა ანელებს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას. ტურიზმის განვითარება ახალი სფეროა არა მხოლოდ ადგილობრივი კომპანიებისა და ადგილობრივი თემებისთვის, არამედ სამთავრობო სტრუქტურებისთვისაც და ამან, შესაძლოა, ნეგატიური ზემოქმედება იქონიოს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე.



Kingdom
of the Netherlands

დაფინანსებულია
საქართველოში ნიდერლანდების
სამეფოს საელჩოს მიერ

შესავალი

გარე სამყარო მსოფლიოს ტრადიციის სიღრმეში დევს. მან განუზომელი ზემოქმედება მოახდინა მსოფლიოს ხასიათზე და მათზე, ვინც შექმნა მისი ისტორია... როდესაც ზოგიერთები თავიანთი წარსულის მნიშვნელობას ეძებენ, ისინი მას არა მხოლოდ უძველეს ნანგრევებში, არამედ მთებში, მდინარეებთან ან ზღვის სანაპიროზე ეძებენ... დღევანდელი გამოწვევაა იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს წვდომა თავის მემკვიდრეობაზე (ORRRC 1958)

დღესდღეობით, მოგზაურობა და ტურიზმი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უმსხვილეს ინდუსტრიად მიიჩნევა. 2010 წელს ტურიზმმა და სამოგზაურო ბიზნესმა მსოფლიოს მასშტაბით დაახლოებით 330 მილიონი სამუშაო ადგილი შექმნა. სუფთა ეკონომიკური სარგებელი, რომელიც ამ ინდუსტრიას მოაქვს, ცალსახაა; მაგალითად, საერთაშორისო ტურიზმით მიღებულმა შემოსავლებმა 2008 წელს 642 მილიარდი ევრო შეადგინა, რაც მსოფლიოს მიერ მომსახურებების ექსპორტის 30%-ს შეადგენს. ყოველწლიურად ტურისტების და მოგზაურთა როდენობა იზრდება და არსებული პროგნოზებით, 2020 წლისთვის საერთაშორისო ტურისტების რიცხვი 1.6 მილიარდამდე გაიზრდება (WTO).

ტექნოლოგიური განვითარება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რაც სამოგზაურო და ტურისტულ ინდუსტრიაში ფინანსურ ზრდას განაპირობებს. უფრო იაფმა და ეფექტურმა ტრანსპორტირებამ, კეთილდღეობის ზრდამ, სასტუმრო ბიზნესის და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა ტურიზმის გაფართოება და მასზე მოთხოვნის ზრდა.

ტურიზმს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისეთი ქვეყნებისთვის, როგორცაა საბერძნეთი, ეგვიპტე, ბრაზილია, ტაილანდი და ბევრი სხვა ქვეყანა, ვინაიდან მას დასაქმების მზარდი შესაძლებლობები და ადგილობრივი ბიზნესებისთვის დიდი ფულადი შემოსავლები მოაქვს. სხვადასხვა ქვეყნებს სხვადასხვა სტრატეგიები და მიდგომები აქვთ ტურიზმის განვითარების მიმართ; ზოგიერთი მიდგომა სიღარიბის დაძლევის სტიმულირებისკენაა მიმართული. ღარიბებზე ორიენტირებული ტურიზმი (Pro-Poor Tourism, PPT) ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი სტრატეგიაა, რომელიც ტურიზმიდან შემოსულ თანხებს სიღარიბის დაძლევისკენ მიმართავს, ხელს უწყობს რა ღარიბ ადამიანებს პროდუქტის ეფექტურ განვითარებაში მიიღონ მონაწილეობა (Ashley, Roe & Goodwin, 2001; Spenceley & Seif, 2003).

ტურიზმს და განსაკუთრებით, მასობრივ ტურიზმს, ხშირად აკრიტიკებენ ადგილობრივი ეკონომიკის განადგურების, სეზონური უმუშევრობის შექმნისა და ბუნებრივი და კულტურული გარემოს დეგრადირების გამო. თუმცა, ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, ტურიზმის უფრო მდგრადი ფორმები ჩნდება. მაგალითად, ახალი, მოქნილი, არასტანდარტული ტურები გარემოსადმი უფრო მეგობრულადაა განწყობილი და ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო წყაროს და ტურისტების რეკრეაციის გაუმჯობესებაზეა კონცენტრირებული. რა თქმა უნდა, ტურიზმის განვითარებას შეუძლია დიდი როლი ითამაშოს სიღარიბის შემცირებაში და უკეთესი საცხოვრებელი პირობები შეუქმნას როგორც სოფლებს, ისე მთიან რაიონებს (Ashley, Roe & Goodwin, 2001).

ბოლო პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ ტურიზმის განვითარების მიზნით მთიანი რეგიონების და სოფლების ხელშეწყობა დაიწყო, რაც ადგილობრივ მოსახლეობას ტურიზმის საშუალებით საკუთარი საარსებო წყაროს გაუმჯობესებაში დაეხმარება. თუმცა, ტურიზმის განვითარება საქართველოში საკმაოდ ქაოტურად გამოიყურება; ტურიზმის სფეროში პროფესიონალური კადრების ნაკლებობა და გრძელვადიანი დაგეგმვის არარსებობა ანელებს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას.

1. ტურიზმის ახალი სახეების მოკლე მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ტერმინის მოკლე განმარტებები, როგორცაა, მაგალითად, მასობრივი ტურიზმი, ახალი მოქნილი ტურიზმი და ღარიბებზე ორიენტირებული ტურიზმი.

ტურიზმი არის სახელმწიფო და კერძო სექტორის საქმიანობების ჯამი, რომელიც ქმნის და ემსახურება საჭიროებებს და შვებულების, ბიზნესის და სხვა მოგზაურობების შედეგებს მართავს (Pearce et al. 1998).

ტურისტი არის პირი, რომელიც თავისი სახლიდან 40 ან მეტი კილომეტრის დაშორებით მოგზაურობს სულ ცოტა ერთი ღამის პერიოდით, ნებისმიერი მიზეზით, გარდა ანაზღაურებადი საქმიანობისა (Harris and Howard 1996).

ვიზიტორი არის პირი, რომელიც დროებით მოგზაურობს თავისი საცხოვრებელი ადგილის გარეთ, სხვა ადგილას, ნებისმიერი მიზეზით, გარდა ვიზიტის ადგილას ანაზღაურებად საქმიანობაში ჩართვისა.

მასობრივი ტურიზმი ნიშნავს მაღალ დონეზე ორგანიზებულ მოგზაურობას, მინიმალურ კონტაქტს და ნიშნულების ადგილის კულტურასთან, მოგზაურობას დიდ ჯგუფებად, ფრენების და საცხოვრებლის დაგეგმვის კუთხით ტურ-ოპერატორებზე დამოკიდებულებას. მასობრივი ტურისტები თავისუფლების გარკვეული ელემენტებით სარგებლობენ, თუმცა, მეტწილად, მაინც ჩარჩოებში არიან მოქცეული. გარდა ამისა, მასობრივი ტურიზმი, რომელსაც ზოგჯერ სტანდარტულ ტურებს უწოდებენ, ისეთ განზრახვებთან ასოცირდება, როგორცაა მზის ძიება, მასებთან ერთად გადაადგილება, სასტუმროს სასადილოში ჭამა, ჰომოგენური ქვეყნების და კულტურების ძიება (Mowforth&Munt, 2003).

ტურიზმის ახალი, მოქნილი სახეობების წარმოშობა – ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, ტურიზმის უფრო მდგრადი ფორმები ჩნდება. მაგალითად, ახალი, მოქნილი, არასტანდარტული ტურები გარემოსადმი უფრო მეგობრულადაა განწყობილი და ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო წყაროს და ტურისტების რეკრეაციის გაუმჯობესებაზეა კონცენტრირებული. ტურიზმის ამ ახალ სფეროებს შეიძლება ასევე ეწოდოს ეკო, მდგრადი, თემზე დაფუძნებული ეთნიკური და ღარიბებზე ორიენტირებული ტურიზმი. ეს არის განვითარება, რომელიც ითვალისწინებს გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ასპექტებს. ტურიზმის ახალი სახეობის მიზანია ბუნებრივი და ადამიანური გარემოს შესახებ მეტი გაგების ჩამოყალიბება. ამგვარი გაგება უნდა მოიცავდეს ტურისტების და მასპინძელი საზოგადოების განათლებას. შედეგად, მასპინძელი საზოგადოება შეძლებს უკეთ გაუგოს ტურისტს და მოემსახუროს მას.

ტურიზმის მოქნილი, ახალი სახეობა ხშირად ახლის შეგრძნების ცნებასთან ასოცირდება, იმ შეგრძნებასთან, რომ გინდოდეს რაიმეს განკარგვა, შეფასება, მაგრამ არ ანადგურებდე და გადაჭარბებით არ იყენებდე საკუთარი სიამოვნებისთვის; ის ასევე ასოცირდება რაიმეს გაგებასთან, თავგადასავლებთან და ადგილობრივი საკვების გასინჯვასთან.

მდგრადი ტურიზმი სამ ძირითადად პრინციპს ეფუძნება. პირველია ხარისხი; მდგრადი ტურიზმი ვიზიტორებისთვის ხარისხიან გამოცდილებას უნდა უზრუნველყოფდეს, მასპინძელი საზოგადოების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასთან და გარემოს ხარისხის დაცვასთან ერთად (Inskoop, 1991). მეორე ძირითადი პრინციპია უწყვეტობა. მდგრადი ტურიზმი იმ რესურსების უწყვეტობას ითხოვს, რომელსაც ტურიზმი ეფუძნება; ასევე მასპინძელი საზოგადოების კულტურის

უწყვეტობას და ვიზიტორთა მხარდაჭერის ან ტურისტების მოთხოვნების უწყვეტობას (Wall, 1993). და ბოლოს, მდგრადი ტურიზმი ბალანსსაც გულისხმობს. სწორედ ტურიზმი აბალანსებს მასპინძლის, სტუმრის და მიმღები გარემოს საჭიროებებს (Bramwell&Lane, 1993).

ეკოტურიზმი განისაზღვრება, როგორც „საპასუხისმგებლო მოგზაურობა ბუნებრივ ტერიტორიებზე, რომელიც იცავს გარემოს და აუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას“ (TIES, 1990).

ღარიბებზე ორიენტირებული ტურიზმი (PPT) არის ტურიზმი, რასაც შედეგად მოჰყვება ღარიბი მოსახლეობის შემოსავლების ზრდა. ღარიბებზე ორიენტირებული ტურიზმი არ არის სპეციალური პროდუქტის ან ნიშის სექტორი, არამედ ეს არის მიდგომა ტურიზმის განვითარების და მართვის მიმართ. ის აფართოვებს კავშირს ტურისტულ ბიზნესსა და ღარიბ ხალხს შორის, რათა გაიზარდოს ტურიზმის წვლილი სიღარიბის შემცირებაში და ღარიბმა ხალხმა შეძლოს უფრო ეფექტური მონაწილეობა პროდუქტის განვითარებაში. საჭიროა „ღარიბთა“ ბევრ სხვადასხვა კატეგორიასთან კავშირების განხილვა: პერსონალი, მეზობელი თემები, მიწის მესაკუთრეები, საკვების მწარმოებლები, საწვავის და სხვა პროდუქციის მომმარაგებლები, მიკრო-ტურიზმის ბიზნესის ოპერატორები, ხელოსნები, ტურისტული ინფრასტრუქტურის (გზები) და რესურსების (წყალი) სხვა მომმარაგებლები, და ასე შემდეგ.

გონიერი ტურიზმი შეიცავს მოგზაურობის ბევრ სახეობას, თუმცა ყველა მათგანის მიზანია გარემოზე ტურიზმის უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება და ადგილობრივ თემებთან მიმართებაში ტურიზმის წვლილის მაქსიმალური გაზრდა. პასუხისმგებლობა მოგზაურობის დროს სულაც არ ნიშნავს მსხვერპლის შეწირვას, განვითარების შეჩერებას ან სახლში დარჩენას. ეს გულისხმობს ტურისტული პროგრამების და ინდივიდუალური ტურების ყურადღებით დაგეგმვას, მოგზაურობისთვის მათთვის საჭირო გამოცდილების უზრუნველყოფას, ხოლო დანიშნულების ადგილას დადებითი კვალის დატოვებას.

ველური ბუნების ტურიზმი ტურისტული ფენომენის სპეციალიზირებული და უკიდურესად მნიშვნელოვანი ასპექტია. ტურისტების უმეტესობას მოსწონს იმ ადგილების მონახულება, სადაც ცხოველები ბინადრობენ, რაც შეიძლება იმ ფაქტით აიხსნას, რომ რამდენიმე თაობის წინაც კი ჩვენი წინაპრების უმეტესობა ყოველდღე ხედავდა გარეულ ცხოველებს. დღესდღეობით, როდესაც ადამიანების უმეტესობა დიდი ქალაქებში ცხოვ-

რობს და მშვენიერ ბუნებას ძირითადად ტელევიზიით უყურებს, ელექტრონული საშუალებები საშუალებას აძლევს ადამიანებს ველურ ბუნებას თავიანთი მყუდრო ოთახებიდან „გაეცნონ“, მაგრამ ამავე დროს ხალხი შესაძლოა ახლა უფრო მეტადაა გონებრივად დაკავშირებული ბუნებასთან, ვიდრე ოდესმე. იმ ადგილების მონახულება, სადაც ცხოველები ბინადრობენ და სადაც მათი ქცევის ნახვაა შესაძლებელი, მნიშვნელოვან შესაძლებლობას იძლევა, რომ ვირტუალური რეალობა იმ რეალობას დაუახლოვდეს, რომელშიც ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ (Higginbottom, 2004).

გარდა ამისა, ველური ბუნების ტურიზმს შეუძლია გააუმჯობესოს სოფლების სუსტი ეკონომიკა, რადგანაც ველური ბუნება ხშირად ბევრად მდიდარია ურბანულ განვითარებასთან შედარებით (McCool 1996; Fennell and Weaver 1997, Goodwin et al.1998). რამდენიმე შემთხვევაში, ველური ბუნების ტურიზმი არამრავალრიცხოვანი რაიონების და ქალაქების ეკონომიკის მთავარი კომპონენტია. რამდენიმე მაგალითი არსებობს იმისა, რომლებიც ნათლად ასახავს ველური ბუნების ტურიზმის ეკონომიკურ მნიშვნელობას მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში:

- მხოლოდ მთის გორილებს რუანდასთვის ყოველწლიურად 4 მილიონი აშშ დოლარის შემოსავალი მოაქვთ (Higginbottom, 2004).
- ტურისტული რესურსის თვალსაზრისით, ამბოსელის ეროვნულ პარკში მოზინადრე თითოეულ ლომს 515 000 აშშ დოლარის გამოიმუშავება შეუძლია სიცოცხლის მანძილზე (Higginbottom, 2004).
- ველური ბუნების ეკონომიკური ღირებულება ავსტრალიის საერთაშორისო ტურიზმში 1.8 მილიარდიდან 3.5 მილიარდ ავსტრალიურ დოლარამდე მერყეობს წელიწადში, საიდანაც მხოლოდ კოალებს დაახლოებით 1.1 მილიარდი ავსტრალიური დოლარი მოაქვთ (Higginbottom, 2004).

საქართველოშიც ნელ-ნელა ვითარდება ველური ბუნების მონახულების და ეკოლოგიაზე დაფუძნებული ტურები, თუმცა ეს ტურიზმის ძალიან სპეციფიური სახეობაა და აქამდე არც თუ ისე ბევრი ვიზიტორი ჩამოსულა ამისთვის საქართველოში, განსხვავებით კულტურული ტურებისა. მხოლოდ რამდენიმე ქართული კომპანია სთავაზობს ველური ბუნების მონახულების ტურებს (როგორცაა, მაგალითად, ფრინველების მონახულება, პეპლების მონახულება ან მტაცებელთა მონახულება). ამდენად, ამგვარი ტურებისთვის უფრო დიდი ზაზრის შესაქმნელად საჭიროა არა მხოლოდ მარკეტინგი და ხელშეწყობა, არამედ პროფესიონალური გიდების

მომსახურება და მენეჯერები, რომელთაც შეუძლიათ დაგეგმონ და განახორციელონ ველური ბუნების მონახულების ტურები.

2. ტურიზმის ზემოქმედება საერთაშორისო ან ადგილობრივ დონეებზე

ტურიზმი ცეცხლს ჰგავს, რომელსაც შეუძლია საჭმელი მოგიშალოს და გაგათბოს, მაგრამ ამავე დროს, დაწვას შენი სახლი (Jaap Lengkeek)

ტურიზმს შეუძლია უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეებზე. მნიშვნელოვანია იმ უარყოფითი ზემოქმედების ცოდნა, რაც შესაძლოა ტურიზმის განვითარებას მოჰყვეს, ასევე, მისი თავიდან აცილება ან მინიმუმამდე დაყვანა. ქვემოთ შეჯამებულია ტურიზმის ზემოქმედება გარემოზე ადგილობრივ დონეზე:

ზემოქმედება ბუნებრივ რესურსებზე: რეგიონებში, სადაც წყალი პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობისთვის, სასტუმროების ქსელის აშენებამ ან ხელოვნური თოვლის დანადგარების უზრუნველყოფამ (მთის კურორტების სასრიალო ბილიკებზე თოვლის საფარის უზრუნველყოფის მიზნით) შესაძლოა პრობლემები შექმნას ბუნებრივი რესურსების გადახარჯვის თვალსაზრისით. საბოლოო ჯამში, ეს პრობლემა შესაძლოა არა მხოლოდ რეგიონის, არამედ მთელი ქვეყნის საზრუნავად იქცეს.

დაბინძურება: ჰაერის დაბინძურება, ანუ CO₂ ემისიები ხორციელდება თვითმფრინავებიდან და იმ სატრანსპორტო საშუალებებიდან, რომლებიც მასობრივი ტურიზმის ადგილებში გამოიყენება, მაგალითად, როდესაც მთის რეგიონები და ეროვნული პარკები მასობრივი ტურიზმის დანიშნულების ადგილი ხდება, ხოლო ტურისტული სეზონის დროს ავტომანქანების რაოდენობა პიკს აღწევს.

ნარჩენები: მყარი ნარჩენები და ჩამდინარე წყლები ტურისტული ადგილების გარშემო. ნარჩენების სუსტმა მართვამ შესაძლოა მასობრივი ტურიზმის თითოეულ ადგილს პრობლემები შეუქმნას იმ დროს, როდესაც ვიზიტორთა რაოდენობა ბევრად მეტია, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობისა. იზრდება ძველი სტილის ნაგავსაყრელები, რაც უარყოფით ზემოქმედებას იქონიებს ბუნებაზე და შესაძლოა დაავადებების გავრცელების მიზეზი გახდეს.

ვიზუალური დაბინძურება: როდესაც სამთავრობო სტრუქტურები ან კომპანიები ტურიზმის განვითარების მიზნით მაღალ ან შეუფერებელ შენობებს აგებენ, რომლებიც არ შეესაბამება არსებულ ლანდშაფტს. მაგალითად, ბეტონის შენობა ტყიან მიდამოში ან მთის წვერზე, ან მაღალი შენობები, რომლებიც არ უხდება გარშემო არსებულ დასახლებას ან ლანდშაფტს.

ფიზიკური ზემოქმედება: გარკვეულმა ტურისტულმა აქტივობებმა, მაგალითად, როგორცაა ეროვნულ პარკებში მანქანით გადაადგილება, შესაძლოა, განსაკუთრებული ზემოქმედება მოახდინოს ბუნებაზე (ბუდობის დროს ფრინველების ან ძუძუმწოვრების განადგურება). გარდა ამისა, ისეთ რეკრეაციულ აქტივობებს, როგორცაა მთასვლელობა, ფეხით მოგზაურობა, მთებში ველოსიპედით მოგზაურობა შეუძლია უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს მცენარეულობაზე. ეს მაშინ ხდება, როდესაც ტურისტები ტურისტულ ბილიკებს არ მიუყვებიან.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების დეგრადაცია: ეს შესაძლოა მოხდეს მაშინ, როდესაც შენდება უზარმაზარი სასტუმროები, მაგისტრალები და ქალაქები ზღვისპირა რაიონებში ან ჭარბტენიან ტერიტორიებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ეკოსისტემებისთვის.

3. ტურიზმის განვითარების დაგეგმვა საქართველოში

საქართველო მდებარეობს კავკასიის რეგიონის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში შავი და კასპიის ზღვებს შორის. ამ მთიანი ქვეყნის ტერიტორია 69,700 კმ²-ზეა გადაჭიმული, ხოლო მისი მოსახლეობა 4.7 მილიონს შეადგენს. თუმცა, ქვეყნის ტერიტორიაზე ბევრია ხელუხლებელი ტერიტორიები. კავკასიის რეგიონი საინტერესოა მისი მაღალი დონის ბიომრავალფეროვნების გამო, ჩრდილოეთ ნახევარსფეროს სხვა არატროპიკულ რეგიონებთან შედარებით. IUCN-ის მიხედვით, კავკასია ერთ-ერთია პლანეტის 34 ყველაზე მრავალფეროვანი და საფრთხის წინაშე მყოფი ცხელი წერტილებიდან (და ევროპის და ცენტრალური აზიის ოთხი ცხელი წერტილიდან ერთ-ერთი). კრიტიკული ეკოსისტემების პარტნიორობის ფონდმა და ველური ბუნების მსოფლიო ფონდმა ასევე მიანიჭეს რეგიონს გლობალური მნიშვნელობა ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით.

გარდა ამისა, კავკასიაში არის ენდემური და იშვიათი ფლორა და ფაუნა, ლანდშაფტების მრავალფეროვნება

(დაწყებული ნოტიო მთის ტყეებიდან და ჭარბტენიანი ტერიტორიებიდან და დამთავრებული მაღალმთითა და ნახევარუდაბნოებით), და ბევრი იმ სახეობის სოცოცხლისუნარიანი პოპულაციები, რომლებიც დასავლეთ ევრაზიის დანარჩენ ნაწილში საფთხრის წინაშე იმყოფებიან. მართალია საქართველო კავკასიის მხოლოდ ერთ-მეშვიდედს ფარავს, იგი ჰაბიტატების და ბიომების თითქმის ყველა იმ სახეობას აერთიანებს, რომლებიც მთელ კავკასიაშია გავრცელებული და რომლებიც პლანეტის ცხოველთა და მცენარეთა სახეობების თითქმის 1%-ს შეადგენს.

ამიტომ, საქართველოს შეუძლია ვიზიტორებს მრავალფეროვანი ტურები შესთავაზოს დაწყებული კავკასიონიდან და დამთავრებული შავი ზღვის სანაპიროთი; მთასვლელობა, ფეხით მოგზაურობა, მთებში ველოსიპედებით მოგზაურობა, თხილამურებით სრიალი, პარაპლანით ფრენა, ნავით გასეირნება, რაფტინგი, ველური ბუნების მონახულება და ა.შ. ტურისტებს ასევე შეუძლიათ მოაწყონ კულტურული ტურები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ხოლო შავის ზღვის სანაპიროს მასშტაბით წყლის სპორტის აქტივობები.

დღესდღეობით, ასობით დიდი თუ პატარა ტურისტული კომპანია ტურისტებს სხვადასხვა ტურებს სთავაზობს საქართველოში; ტურიზმის განვითარება საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტსაც წარმოადგენს. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ტურიზმის განვითარება ქაოტურად გამოიყურება, ვინაიდან საქართველოს ჯერ კიდევ არ გააჩნია ეროვნული სტრატეგია და არც ტურიზმის განვითარების ეროვნული ან რეგიონალური გეგმები.

2007-2008 წლებში იყო მცდელობა შემუშავებულიყო ეროვნული ტურიზმის განვითარების სტრატეგია და გეგმა. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის და სარეკლამო კამპანიის განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2007 წლის 21 ივნისს ხელი მოაწერა შეთანხმებას აშშ-ის ვაჭრობის და განვითარების სააგენტოსთან, ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭოს და SW Associates-ის მიერ ტურიზმის განვითარებისა და ინვესტირების გეგმის და სტრატეგიის შემუშავების თაობაზე. რა თქმა უნდა, დოკუმენტი მომზადდა და ის მხოლოდ SW Associates-ის ვებ-გვერდზეა ხელმისაწვდომი; თუმცა, ის არასდროს ყოფილა საჯარო კონსულტაციების საგანი და არც დამტკიცებული; როგორც SW Associates-ი აცხადებს, "გეგმის მიზანი იყო ოფიციალური ტურისტული სტრატეგიის შემუშავება, რომელიც საქართველოში მდგრადი ტურისტული გან-

ვითარების გზით ეკონომიკური ზრდის საგზაო რუკა იქნებოდა”.

ჩვეულებრივ, ტურისტულ პროექტებზე მუშაობის დაწყებამდე უნდა მომზადდეს ტურიზმის სტრატეგიული გეგმა და ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის სექტორულ სტრუქტურებთან, ადგილობრივ ტურისტულ და ბიზნეს ოპერატორებთან, არასამთავრობო ორგანიზებთან და სამეცნიერო ინსტიტუტებთან კონსულტაციების შემდეგ უნდა მოხდეს მისი მიღება. გეგმა უნდა შეიცავდეს არსებული და პოტენციური ტურისტული მიმზიდველობების ინვენტარიზაციას; უნდა ადგენდეს, რისი გაკეთებაა საჭირო ტურისტული შესაძლებლობების გასაფართოებლად; ასევე უნდა მოიცავდეს კონკრეტულ მიზნებს და ამოცანებს მარკეტინგის და ადგილის მიმზიდველობის გაუმჯობესების მიზნით. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს სამიზნე ქვეყნების ნათელი სურათი, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღებას პოტენციური ვიზიტორების და მათი სურვილების შესახებ. ზედმიწევნით უნდა იქნეს შესწავლილი ტურიზმის განვითარების ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და უნდა მომზადდეს შემამსუბუქებელი ღონისძიებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული უარყოფითი ზემოქმედება გარემოსა და მოსახლეობაზე.

საქართველოში ასეთი დაგეგმვის პროცესები არ ხორციელდება. ეს, ერთი მხრივ, ანელებს ტურიზმის განვითარებას და მეორე მხრივ, საქართველოს ფლორას და ფაუნას ზეწოლის ქვეშ აქცევს.

დაგეგმვის ნაკლებობა გადაწყვეტილებებში შეუსაბამობებს იწვევს. მაგალითად, ძალიან ხშირად საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს და დაცული ტერიტორიების სააგენტოს ხელმძღვანელები იცვლებიან და ამას მოყვება სრულმასშტაბიანი ცვლილებები პრიორიტეტებში. ახალი პერსონალი, როგორც წესი, თავს ანებებს ძველ პროექტებს და ახალ პროექტებზე იწყებს მუშაობას. მაგალითად, ორი წლის წინ ეკოტურიზმი დაცული ტერიტორიების სააგენტოს მთავარი მიმართულება იყო; უამრავი დრო და ფული დაიხარჯა საქართველოს ეროვნულ პარკებში როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტებისთვის ეკოტურების მარკეტინგულ მომზადებასა და ხელშეწყობაზე. თუმცა, დღეს ეკოტურიზმის განვითარება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ვინაიდან ხელისუფლება გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე ნადირობის ნებართვების გაცემას გეგმავს.

ნათელია, რომ არა მხოლოდ ერთი პროექტის მეორეთი

ჩანაცვლებას ჰქონდა ადგილი, არამედ ტურიზმის სახეობების შეცვლასაც. გარდა ამისა, ეკოტურიზმის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება და სამონადირეო ტურიზმის ინიცირება მოკლევადიან ეკონომიკურ სარგებელზე ორიენტაციად შეიძლება ჩაითვალოს. ასევე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ნადირობას დაქვემდებარებული ძუძუმწოვართა პოპულაციების კვლევა ჯერჯერობით არ ჩატარებულა; თუმცა, მთავრობამ უკვე გამოაქვეყნა ნადირობის კვლევები თითოეული სახეობისთვის.

4. სამონადირეო ტურიზმი საქართველოში

დღესდღეობით, სამონადირეო ტურიზმი ბევრ ქვეყანაშია განვითარებული და ყოველწლიურად დაახლოებით 6 მილიონი გარეული ჩლიქოსნის მონადირება ხდება ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, რაც ძირითადად ტრადიციებით, ვაჭრობით და სოციალური ღირებულებებითაა განპირობებული (Bauer and Giles, 2002). გერმანიაში, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანაა, ნადირობა კვლავ მნიშვნელოვან ტრადიციად რჩება. ამის შედეგია თითქმის 1.2 მილიონი ჩლიქოსნის მონადირება, რაც დაახლოებით 50 000 ტონა ირმის ხორცს უდრის ყოველწლიურად. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ის ქვეყნებიც კი, რომელთაც დიდი გამოცდილება აქვთ ნადირობის მართვაში (როგორცაა გერმანია, კანადა და სხვა) ხშირად უარყოფითი ზემოქმედების წინაშე დგანან.

ნადირობის ზემოქმედება საკმაოდ ცვალებადი მაჩვენებელია, რაც შემდეგი ფაქტორებითაა განპირობებული:

- ნადირობის ტიპი (დევნა, ჩასაფრება, ძაღლების დახმარებით);
- მოპოვებული სახეობები;
- ინტენსიურობა (არარეგულარული, რეგულარული, მუდმივი);
- სეზონი (შეჯვარება, დაბადების სეზონი);
- დღის პერიოდი (დასვენების პერიოდი, ჭამის პერიოდი);
- იარაღი (ცეცხლსასროლი იარაღი, ხაფანგი);
- ტრანსპორტი (ფეხით, ცხენით, მანქანით, ნავით, ვერტმფრენით).

გარდა ამისა, ნადირობამ შესაძლოა სხვადასხვა ზემოქმედება მოახდინოს სამიზნე სახეობებზე; ამ ზემოქმედებების თაობაზე ფართოდაა აღწერილი ველური ბუნების მართვის შესახებ ლიტერატურაში. მაგალითებს შორისაა საფანტით გამოწვეული ზემოქმედება, რომელიც

ხშირად გამოიყენება წყლის ფრინველთა ნადირობის ადგილებში, ასევე ზემოქმედება არასამიზნე სახეობებზე და ზემოქმედება ჰაბიტატებზე (e.g. Kalchreuter, 1984, 1987). ნადირობის მრავალი სახე არსებობს, როგორცაა, მაგალითად, მახეებით და ხაფანგებით ნადირობა, რაც ზოგადად, უკანონო ქმედებებთან ასოცირდება, რომლის დროსაც ბევრი არასამიზნე სახეობა კვდება. ნადირობას სხვადასხვა დონის არეულობების გამოწვევა შეუძლია, რასაც ზიანი მოაქვს პოპულაციის მდგომარეობისთვის (Pacelle, 1999; Cartmill, 1993; King, 1991, Causey, 1989; Johnson, 1981).

ზემოქმედება სახეობის გრძელვადიან გენეტიკურ მდგომარეობაზე შესაძლოა იმ შემთხვევაში განხორციელდეს, თუ, მაგალითად, ნადვლისთვის ნადირობას შერჩევითი ხასიათი აქვს და ზრდასრულ, დიდი ზომის და ხშირად მამრთობითი სქესის სახეობებზე ხდება ნადირობა. თეორიული მასალების თანახმად, ამას უარყოფითი შედეგები მოჰყვება (Caro et al., 1998; Caro, 1994; Geist, 1988), ხოლო პრაქტიკული კვლევების თანახმად, ამას ისეთი ზემოქმედება მოყვება, როგორცაა ცვლილება სქესობრივ თანაფარდობაში ან ასაკობრივ განაწილებაში (Adamic 1997; Ginsberg and Milner-Gulland, 1994; Bauer, 1989; Bauer & Pflieger, 1989).

მსოფლიოში არსებული გამოცდილების თანახმად, ნადირობის ზემოქმედების სრულად აღმოფხვრა შეუძლებელია, განსაკუთრებით შორეულ რეგიონებში (რომლებსაც ხშირად ირჩევენ მონადირეები) და იმ ქვეყნებში, რომელთაც არ გააჩნიათ კანონმდებლობა ან ინფრასტრუქტურა რეგულაციების აღსრულებისთვის. ნადირობას დაქვემდებარებული სახეობების მართვას სჭირდება თანმიმდევრული, გრძელვადიანი, ობიექტური კვლევის კომპონენტი და საკანონმდებლო და პრაქტიკული საშუალებები, რათა მოხდეს მისი განხორციელება პასუხისმგებლიანი და კარგად მომზადებული მონადირეთა ჯგუფის მიერ (eg. Bauer and Giles, 2002).

საქართველოში ნადირობა დაშვებული იყო მხოლოდ სამონადირეო მეურნეობებში და წითელ ნუსხაში შესულ გარეულ ცხოველებზე ნადირობა ბრაკონიერობად ითვლებოდა. თუმცა, 2011 წლის აგვისტოში შინაგან საქმეთა სამინისტროში ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა, სადაც მთავრობის წევრებმა ხელისუფლების გეგმები წარადგინეს, რომლის თანახმადაც გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ წითელ ნუსხაში შესულ იშვიათ სახეობებზე ნადირობა დასაშვები ხდებოდა. მინისტრებმა შესთავაზეს ტურისტულ სააგენტოებს, რომ დაეწყეთ

მუშაობა საზღვარგარეთიდან მონადირე ტურისტების მოსაზიდად. როგორც მათ ახსნეს, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები მალე დამტკიცდებოდა, კერძოდ კი, პარლამენტის საშემოდგომო სესიის გახსნისთანავე (მაჭარაშვილი, 2012).

რა თქმა უნდა, 2011 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა კანონპროექტი, რომლითაც გარკვეულ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებები შევიდა. კანონპროექტი ახალ რეგულაციებს შეიცავდა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა საქართველოს ბიომრავალფეროვნებას. კერძოდ, კანონპროექტის თანახმად, ნებადართული იყო გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (წითელ ნუსხაში შესული) სახეობების მოპოვება კომერციული მიზნით; ასევე ნადირობა დაცულ ტერიტორიებზე, მათ შორის ეროვნულ პარკებში; კანონპროექტი აკანონებდა იშვიათი და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების განადგურების შესაძლებლობას; მან გააუქმა ბუნებრივი რესურსების მოხმარების გადასახადი წითელ ნუსხაში შესული და სხვა სამონადირეო სახეობების მოპოვებაზე და ამავდროულად, გააუქმა უკანონო მოპოვების შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანის კომპენსაციის ვალდებულება (მაჭარაშვილი, 2012).

მას შემდეგ, რაც არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა (მათ შორის, მწვანე ალტერნატივამ, ნაკრესმა, ველური ბუნების მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისმა) საკუთარი პოზიციები დააფიქსირეს და მყარი არგუმენტები წარადგინეს, რამდენიმე მუხლი, რომლებიც საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის ბიომრავალფეროვნებას, ამოღებულ იქნა კანონპროექტიდან. კერძოდ, ამოღებულ იქნა მუხლები, რომლებიც ეროვნულ პარკებში ნადირობას უფლებას იძლეოდა და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (წითელ ნუსხაში შესული) სახეობების მოპოვებაზე ნულოვანი გადასახადების დაწესებას ითვალისწინებდა; თუმცა, პარლამენტმა მაინც მიიღო კანონი (კანონი #5201 ძალაში 2011 წლის 8 ნოემბერს შევიდა) (მაჭარაშვილი, 2012).

რაც შეეხება წითელ ნუსხაში შესულ სახეობებზე ნადირობის დაშვებას, საკმაოდ ორაზროვანი ფორმულირება შევიდა კანონმდებლობაში. მართალია, 22-ე მუხლი ცალსახად არ აცხადებს, რომ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველებზე ნადირობა დაშვებულია, საქართველოს მთავრობის ინტერპრეტაციის წყალობით, კომერციული ნადირობა წითელ ნუსხაში შეტანილ ცხოველებზე ნებადართულია. გარდა ამისა, მთავრობამ რამდენიმე ნორმატიული აქტი გამოაქვეყნა ამასთან მიმართებაში (მაჭარაშვილი, 2012).

2011 წლის 29 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ გამოსცა დადგენილება #513, რომლითაც ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს დადგენილებაში #242 "ტყითსარგებლობის წესების დამტკიცების თაობაზე". ამ ცვლილების თანახმად, წითელ ნუსხაში შესული სახეობებიც ნადირობის ობიექტებად მიიჩნევა. დადგენილება განსაზღვრავს, თუ რამდენი უნდა გადაუხადოს მონადირემ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ნადირობის შესაბამისი დოკუმენტის მოსაპოვებლად (მაჭარაშვილი, 2012).

ამას გარდა, საქართველოს ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 27 დეკემბრის დადგენილებამ #275, რომლითაც ცვლილებები შევიდა "ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისთვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვლის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 6 აპრილის #07 ბრძანებაში, სხვა სახეობებთან ერთად განსაზღვრა გარკვეული პირობები და აკრძალვები გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების მოპოვებაზე. კერძოდ, ნადირობა აკრძალულია დათვის ერთ წლამდე ბელზე და დათვის მდედრ ინდივიდზე, რომელსაც ერთ წლამდე ბელი ჰყავს, წითელი ირმის მდედრ ინდივიდზე, როჭოზე და შურთხზე; ჯიხვის მამრ ინდივიდზე, რომლის რქის სიგრძეც (მრუდზე) 100 სმ-ზე ნაკლებია; ირმის მამრ ინდივიდზე, რომლის რქებიც არ არის დატოტვილი ან/და დატოტვილია და მთავარი ღერძის სიგრძე 90 სმ-ზე ნაკლებია. ხაზი უნდა გაესვას, რომ ეს აკრძალვები ფორმალურია, ვინაიდან არ არსებობს ბრაკონიერობასთან ბრძოლის, ასევე ნადირობის პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის რაიმე მექანიზმი (მაჭარაშვილი, 2012).

და ბოლოს, 2011 წლის 27 დეკემბერს ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გამოსცა განკარგულება №276, რომლითაც ცვლილება შევიდა მინისტრის 2011 წლის 10 მაისის განკარგულებაში "ნადირობის და თევზაობის გახსნის და დახურვის ვადების დამტკიცების თაობაზე". ცვლილებით განისაზღვრა სხვა სახეობებთან ერთად გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველებზე ნადირობის ვადები (მაჭარაშვილი, 2012).

2012 წლის 10 იანვარს ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია,

რომ დამტკიცდა 2012 წელს ნადირობის სეზონზე ცხოველთა სამყაროს ზოგიერთი ობიექტის მოპოვების კვოტები. განცხადებაში ჩამოთვლილი სახეობები არ შეიცავს წითელ ნუსხაში შესულ სახეობებს, თუმცა მასში დასახელებულია მხოლოდ სახეობები და მათი რაოდენობა და არ არის დაკონკრეტებული სანადირო ადგილები (მაჭარაშვილი 2012).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წლების მანძილზე არცერთ სახელმწიფო თუ სამეცნიერო ინსტიტუტს არ აღურიცხავს ნადირობის ობიექტები დაცული ტერიტორიებს გარეთ (მანამდე ნადირობა მხოლოდ სანადირო მეურნეობებში იყო ნებადართული, ახლას ყველგანაა დაშვებული ნაკრძალების და ეროვნული პარკების გარდა). ამას გარდა, ნადირობის კვოტები მიბმული უნდა იყოს კონკრეტულ სანადირო უბანზე. ნადირობის ობიექტების რაოდენობის ლეგალიზება იმ ტერიტორიების დაკონკრეტების გარეშე, სადაც ამ ცხოველების მოპოვებაა შესაძლებელი (ანუ მოსაპოვებელი სახეობების გადანაწილება სანადირო მონაკვეთების მიხედვით), სრული აბსურდია (მაჭარაშვილი 2012).

დასასრულს, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივ და საერთაშორისო მედიაში გამოქვეყნდა სტატიები, სადაც გაკრიტიკებული იყო ნადირობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები. ამან საქართველოს, ტურიზმის თვალსაზრისით, საკმაოდ ნეგატიური იმიჯი შეუქმნა და უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციაზე. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანამ, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ ეკოტურიზმს უწევდა რეკლამირებას და ცდილობდა საქართველოსთვის ხელუხლებელი ფლორის და ფაუნის მქონე ქვეყნის იმიჯი შეექმნა, საკუთარი რეპუტაცია ერთი უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებით შელახა.

5. მასობრივი ტურიზმის ხელშეწყობა საქართველოში

კიდევ ერთი პრობლემა, რომლის წინაშეც ქვეყანაში ტურიზმის განვითარება დგას, საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს საკმაოდ „ძველი მიდგომაა“. კერძოდ, ნათელია, რომ საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო ცდილობს მასობრივი ტურიზმი განავითაროს და მომდევნო წლების განმავლობაში ქვეყანაში 5–6 მილიონი უცხოელი ტურისტი მოიზიდოს. გაუგებარი მიზეზების გამო, ისინი არ ითვალისწინებენ დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებას მასობრივი ტურიზმის განვითარების კუთხით.

როგორც ზოგიერთი მკვლევარი (Mowforth & Munt,

2003) აცხადებს, მასობრივი ტურიზმის ზრდას მთელი რიგი პრობლემები მოჰყვა, რომლებიც სულ უფრო თვალსაჩინო გახდა ბოლო წლების განმავლობაში. ამ პრობლემებს შორისაა ნეგატიური ზეგავლენა გარემოზე და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წესსა და კულტურაზე, ფინანსური მოგების არათანაბარი გადანაწილება, პატერნალისტური დამოკიდებულების ხელშეწყობა და დაავადებების გავრცელება. ქვემოთ შევცვდებით დავადგინოთ, ზემოთ ხსენებულ პრობლემათაგან რომელი შეიმჩნევა უკვე საქართველოში.

პირველ რიგში, საქართველოს ტურიზმის ეროვნულ-მა სააგენტომ არ გაითვალისწინა SW Associates-ის მიერ 2007 წელს მომზადებულ ტურიზმის განვითარების ეროვნულ სტრატეგიასა და გეგმაში მოცემული რეკომენდაციები. დოკუმენტში ნათქვამია: „2015 წლისთვის ჩამოსვლები იზრდება სულ ცოტა 2.5 მილიონამდე, საიდანაც 16% (400 000) მაღალი მხარჯველობითი პოტენციალის მქონე ვიზიტორია შორეული ქვეყნებიდან და დასავლეთ ევროპის ბაზრებიდან (განსაკუთრებით, აშშ, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, ისრაელი, იაპონია და სამხრეთ კორეა), რაც საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ ეკონომიკურ მდგრადობას სასტუმროების ქსელის მიმდინარე და დაგეგმილი განვითარებისა და ვიზიტორთა სხვა მომსახურებებისთვის“.

ნათელია, რომ SW Associates-ი სთავაზობდა 2015 წლისთვის ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდას 2.5 მილიონამდე და ხაზს უსვამდა, რომ 16% (400 000) უნდა ყოფილიყო მაღალი მხარჯველობითი პოტენციალის მქონე ვიზიტორი დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ ტურისტების რაოდენობა არ არის საკმარისი და საჭიროა ისეთი ტურების შეთავაზება, რომელიც მიმზიდველი იქნება მაღალი მხარჯველობითი პოტენციალის მქონე ტურისტებს დასავლეთ ევროპული ქვეყნებიდან, რათა საქართველოში ჩამოვიდნენ.

მეორე პრობლემა, რომელიც შესაძლოა საქართველოში მასობრივი ტურიზმის განვითარებამ გამოიწვიოს, არის ნარჩენების მართვა. ზოგადად, ნარჩენების მართვა საქართველოსთვის მთავარ პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან ყველა ქალაქში ჯერ კიდევ საბჭოთა სტილის ნაგავსაყრელებია. სავარაუდოდ, ნარჩენები იმარხება, რაც არასწორი ტექნოლოგიების შემთხვევაში მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას. მთიან სოფლებში ადგილობრივი მოსახლეობა ნაგავს მდინარეებში ყრის. პოლიეთილენის პარკების და პლასტმასის ბოთლების ნახვა სასრიალო ბილიკებზე და მდინარეების გასწვრივა შესაძლებელია, თითქმის ყველა ტურისტულ ადგილზე.

ნარჩენების სუსტი მართვა საქართველოს სამივე ძირითად ტურისტულ ადგილზე შეინიშნება: ყაზბეგში, მესტიასა და ბათუმში. ყაზბეგში ნაგავსაყრელი ზუსტად მდინარე თერგის კალაპოტში მდებარეობს, დაახლოებით 500 მეტრში საქართველოს სამხედრო გზიდან. ვინაიდან ადგილი შემოღობილი არ არის, უპატრონო ძაღლებს და ძროხებს სულ ადვილად შეუძლიათ ნაგავსაყრელთან მისვლა.

მესტიის სათხილამურო კურორტის განვითარება ახალი პროექტია, რომელიც საქართველოს ხელისუფლების ხელშეწყობით მიმდინარეობს. თუმცა, ჯერჯერობით იქ რაიმე ოფიციალური ნაგავსაყრელი არ არსებობს და ნარჩენების უმეტესობა მდინარე ენგურში იყრება, საიდანაც შემდეგ შავ ზღვაში ჩადის.

ბათუმი საქართველოს მესამე უმსხვილესი ქალაქია; ბოლო რამდენიმე წელია ხელისუფლებამ ქალაქის განვითარება დაიწყო სანაპირო ტურიზმისთვის, ააშენა ახალი სასტუმროები და ქალაქის ძველი ნაწილის რეაბილიტაცია განახორციელა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არც თუ ისე შორს ქალაქიდან უზარმაზარი ნაგავსაყრელი მდებარეობს, მდინარე ჭოროხის კალაპოტის გვერდით. საქართველოს სხვა ნაგავსაყრელების მსგავსად, ეს ნაგავსაყრელიც არ არის შემოღობილი, რის გამოც ის უპატრონო ძაღლებს და პირუტყვს იზიდავს.

ზემოხსენებული ნაგავსაყრელები ძლიერ უარყოფით ზემოქმედებას ახდენენ გარემოზე და შესაძლოა სხვადასხვა დაავადებების გავრცელების კერა გახდნენ. საქართველოს მთავრობის მიზანია, რომ მომდევნო წლების განმავლობაში 6 მილიონი ტურისტი ჩამოიყვანოს საქართველოში; თუ ეს პრობლემები არ იქნება გათვალისწინებული, გარემოზე ზემოქმედება შესაძლოა საერთაშორისო შეშფოთების საგანი გახდეს.

მესამე პრობლემა, რომელიც შესაძლოა მასობრივმა ტურიზმმა გამოიწვიოს, არის „პატერნალისტური“ მიდგომა, რაც მაშინ ხდება, როდესაც სამთავრობო სტრუქტურები ან დიდი კომპანიები კონკრეტულ ხალხს/კომპანიებს ან მათ პროექტებს უჭერენ მხარს. ამგვარი შემთხვევები „მწვანე ალტერნატივამ“ და მისმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა ორ სხვადასხვა ტურისტულ ადგილას დააფიქსირეს (შავი ზღვის სანაპიროზე და სვანეთში); ადგილობრივი თემების კუთვნილი მიწები ხელისუფლებამ აიღო, რათა საერთაშორისო კორპორაციებისთვის იქ ტურიზმის განვითარებისთვის მიმზიდველი გარემო შეექმნათ.

დასასრულს, მასობრივი ტურიზმის განვითარებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, მთებსა და სანაპირო რეგიონებში ინფრასტრუქტურის ან უზარმაზარი სასტუმროების მშენებლობის დროს იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი პროექტების დაგეგმვა გარემოზე ზემოქმედების შეფასების გარეშე განხორციელდება. ძალზე ხშირად შენობები არ უხდება ადგილობრივ ლანდშაფტს და არა მხოლოდ უარყოფით ზემოქმედებას ახდენენ ადგილობრივ ეკოსისტემაზე, არამედ არ ქმნიან მყუდრო გარემოს ტურისტებისთვის, განსაკუთრებით იმ ტურისტებისთვის, რომლებიც საქართველოში ბუნების სანახავად ჩამოდიან და მაღალი მხარჯველობითი პოტენციალის მქონე ტურისტების რიცხვს მიეკუთვნებიან.

6. დასკვნა და რეკომენდაციები

ტურიზმს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბევრი ქვეყნისთვის, ვინაიდან მას დასაქმების მზარდი შესაძლებლობები და ადგილობრივი ბიზნესისთვის დიდი ფულადი შემოსავლები მოაქვს. სხვადასხვა ქვეყნებს სხვადასხვა სტრატეგიები და მიდგომები აქვთ ტურიზმის განვითარების მიმართ; ზოგიერთი მიდგომები სიღარიბის დაძლევის სტიმულირებისკენაა მიმართული, მაგრამ ამავე დროს ტურიზმის სტრატეგიული გეგმის არარსებობამ და ტურიზმის განვითარების მიმართ მცდარმა მიდგომებმა შესაძლოა პრობლემები შეუქმნას და უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ გარემოზე.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ტურიზმის განვითარება ვერ იქნება ერთადერთი ალტერნატივა სოფლების და მთიანი რაიონების განვითარებისთვის და ტურიზმის მხოლოდ დადებითი მხრიდან დანახვა არ უნდა ხდებოდეს. უფრო რაციონალური იქნება ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი გეგმების დასახვა, ტურიზმის უარყოფითი მხარეების გათვალისწინებით და მათი თავიდან აცილების გზების დასახვით.

პირველ რიგში, საჭიროა ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმების შემუშავება როგორც ეროვნულ, ისე რეგიონალურ დონეებზე და მათი მიღება ყველა დაინტერესებულ მხარესთან მჭიდრო კონსულტაციების გზით. მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილი იყოს ადგილობრივი კომპანიების და თემების მონაწილეობა რეგიონალური ტურიზმის გეგმების შემუშავებაში.

მთიან რეგიონებში ან სოფლებში ტურიზმის ნებისმი-

რი სახეობის სტიმულირების დაწყებამდე, საჭიროა ჩატარდეს კვლევა ტურისტული პოტენციალის და ადგილობრივი მოსახლეობის მოლოდინების თაობაზე.

გარემოზე და ადგილობრივ თემებზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, სავალდებულო უნდა გახდეს ტურიზმის განვითარების ფართომასშტაბიანი პროექტებისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადება.

ტურიზმის გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმების შემუშავებისას მნიშვნელოვანია, რომ მათ პირველ რიგში სამთავრობო სტრუქტურებმა სცენ პატივი და განახორციელონ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Adamic, M. 1997. The analysis of key sources of mortality of the brown bear (*Ursus arctos*) in Slovenia in the last 6 years (1.4.1991-31.3.1997). *Zbornik Gozdarstva in Lesarstva Ljubljana*, 53: 5-28.
2. Bauer, J. and Giles, J. 2002. *Recreational Hunting- An International Perspective*, Wildlife Tourism Research Report Series No.13. CRC, Sustainable Tourism, Goldcoast, Australia.
3. Bramwell, B., & Lane, B. 1993, Sustainable tourism: An evolving global approach. *Journal of Sustainable Tourism*, 1(1): 1-5.
4. Caro, T. M. 1984. Big-game hunters are not biologists. *New Scientist*, 104: 12-16.
5. Caro, T. M., Pelkey, N., Borner M., Severre E. L. M., Campbell K L I., Huish S. A., Kuwai J., Ole., Farm, B.P. and Woodworth, B.L. 1998. The impact of tourist hunting on large mammals in Tanzania: An initial assessment. *African Journal of Ecology*. 36: 321-346.
6. *Cartmill, M. 1993. A view to a Death in the Morning, Harvard University Press.*
7. *Causey, A. 1989. On the Morality of Hunting, Environmental Ethics, 11: 327-343.*
8. Harris, R. and Howard, J. 1996. *Dictionary of Travel, Tourism and Hospitality Terms*. Hospitality Press, Melbourne, Victoria.
9. Inskoop, E. 1991, *Tourism planning: An integrated and sustainable development approach*, Van Nostrand, Reinhold, New York.
10. Geist, V. 1988. How markets in wildlife meats and parts, and the sale of hunting privileges jeopardize wildlife conservation. *Conservation Biology*, 2: 15-26.
11. Johnson, E. 1981. Animal Liberation versus the Land Ethic. *Environmental Ethics*, 3: 265-273.
12. Kalchreuter, H. 1987. *Wasserwild im Visier - Jagd und Schutz von Wasservögeln*, BLV Verlagsgesellschaft GmbH, München, Germany
13. Kalchreuter, H. 1984. *Die Sache mit der Jagd*. BLV Verlagsgesellschaft GmbH, München, Germany.
14. Mowforth, M. & Munt, I. (2003). *Tourism and sustainability: Development and new tourism in the third world* (2th edition.). Routledge London, UK
15. Pacelle, W. 1999. Nailed to the wall. *Animals Agenda*, 19: 24-29.
16. Pearce, P.L., Morrison, A.M. and Rutledge, J.L. 1998. *Tourism: Bridges Across Continents*. McGraw-Hill, Sydney. New South Wales.
17. Ryan, C. (2002). Equity, management, power sharing and sustainability – issues of the ‘new tourism’. *Tourism Management*, 23, 17–26.
18. Robson, J. (1996). From shareholders to stakeholders: critical issues for tourism marketers. *Tourism management*, Vol. 17, No.7, pp. 533-540
19. Wall, G. 1993, ‘Towards a tourism typology’ in (Eds.), *Tourism and sustainable development* eds. J.G. Nelson, R. Butler, & G. Wall, University of Waterloo, Waterloo.
20. WWF-Caucasus Position Statement concerning planned introduction of new hunting regulations under the Draft Law of Georgia “On Amendments to Some Legal Acts of Georgia” formally initiated in the Parliament of Georgia , September, 2011
21. Macharashvili, I. „Situation Analysis, Hunting Tourism in Georgia’. *Green Alternative*, January 2012.
22. The America-Georgia Business Council and SW Associates, *Tourism Development and Investment Plan and Strategy*, Final Report – Task 7

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს მისი ავტორის მოსაზრებებს, გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს შეხედულებათა ამსახველად.

© მწვანე ალტერნატივა, 2012

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ.#27/29, II სართ.
ტელ: (995 32) 222 38 74; 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG